„შახტიორი“ (დონეცკი) – „დინამო“ (თბილისი) 1:1 (0:0)

ამ კალენდარული ტურისთვის დონეცკის „შახტიორი“ უმაღლესი ლიგის საკავშირო გათამაშებაში პირველ ადგილზე იყო. ძნელი სათქმელია, როგორ მიაღწია ლიდერის მდგომარეობას ამ გუნდმა, რომელიც წლევანდელი ჩემპიონატის მსვლელობაში ჯერ გათამაშების ცხრილის შუა ადგილებზე იმყოფებოდა, შემდეგ კი მის მეორე ნახევარშიც გადაინაცვლა (მაგალითად, 13 აპრილისთვის „შახტიორი“ მხოლოდ მეთერთმეტე ადგილზე იყო), მაგრამ ფაქტია, მომდევნო მატჩებში რამდენიმე გამარჯვების შემდეგ გუნდმა ლიდერის პოზიციას მიაღწია.

თამაშის დასაწყისი ორმხრივი შეტევებით აღინიშნა. დინამოელთა ერთ–ერთი იერიშის დროს მეკარე ზოლოტნიცკისთან პირისპირ გავიდა მესხი და დაკარგა ბურთის გატანის საუკეთესო შესაძლებლობა. მალე დინამოელებმა კუთხური მოაწოდეს და ჩივაძის დარტყმა სულ ოდნავ აცდა „შახტიორის“ კარს.

შემდგომში დონეცკელმა ფეხბურთელებმა ნახევარმცველთა მეტად აქტიური თამაშის მეოხებით ჯერ გაათანაბრეს მდგომარეობა, შემდეგ კი პეტროვმა, სმოლიანინოვმა, იაშჩენკომ რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. კერძოდ, 70–ე წუთზე იაშჩენკო ღიად დარჩა გაბელიასთან და ამ უკანასკნელმა მხოლოდ ბოლო წამს მოუსწრო კარში მქროლ ბურთს.

73-ე წუთზე, დონეცკელთა ერთ–ერთი იერიშის დროს, მინდორზე ახლად გამოსული გაიდაშის წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის ომსკელმა მსაჯმა ვ. კუზნეცოვმა 11 მეტრიანი დანიშნა. დარტყმა ზუსტად შეასრულა პეტროვმა. „შახტიორი“ დაწინაურდა – 1:0.

მატჩის დასასრულამდე დრო ბევრი აღარ იყო დარჩენილი და თბილისელმა ფეხბურთელებმაც მაქსიმალური ძალებით შეუტიეს. მასპინძელთა კართან იერიში იერიშს მოსდევდა. სახიფათო მომენტები იქმნებოდა განუწყვეტლივ. მეკარე ზოლოტნიცკი და მცველები ძლივს აუდიოდნენ შეტევებს. ბოლოს, 88–ე წუთზე, დაინიშნა საჯარიმო. ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა მცველთა კედელს. შემდეგ დინამოელებმა სწრაფად გაითამაშეს კომბინაცია და საბოლოო დარტყმისთვის ბურთი მესხს გადასცეს. მესხის ზუსტმა დარტყმამ წერტილი დაუსვა ამ მეტად დაძაბული, მწვავე ბრძოლით აღსავსე შეხვედრის საბოლოო ანგარიშს – 1:1.

მეტოქეთა შემადგენლობანი: „შახტიორი“ – ზოლოტნიცკი, ვარნავსკი, დრაგუნოვი, რადენკო, პარხომენკო, რუდაკოვი, იაშჩენკო, სოკოლოვსკი (გაიდაში), პეტროვი (გოშკოდერი), სმოლიანინოვი, გულიაევი; „დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, კუდინოვი (გურული), კაკილაშვილი (ჩელებაძე), სვანაძე, სულაქველიძე, უგრელიძე, ცაავა, მესხი. მსაჯი ვ. კუზნეცოვი (ომსკი).

დუბლიორთა მატჩი „შახტიორის“ გამარჯვებით დამთავრდა – 4:0.

15.07.1987